



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დღე-ღამე

დღე-ღამე, დედამიწის ღერძული ბრუნვის პერიოდი; დროის ერთ-ერთი ძირითადი საზომი ერთეული. ქართ. აღნიშვნაა დ.-ღ. განასხვავებენ ვარსკვლავიერ დ.-ღ-ს – გაზაფხულის დღელამტოლობის წერტილის მიმართ ათვლილ დედამიწის ბრუნვის პერიოდს და მზისიერ დ.-ღ-ს (მზის მიმართ ათვლილს). ვარსკვლავიერი დ.-ღ. არ შეესაბამება დღისა და ღამის მონაცვლეობას და საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში ამ ეთეულით დროის გაზომვა მოუხერხებელია. ამ მიზნით იყენებენ მზისიერ დ.-ღ-ს, რ-იც ტოლია სამ. მზის ცენტრის ზედა ან ქვედა ორ თანმიმდევრულ კულმინაციას შორის დროის შუალედისა. 1 დღ-ღ = 24 სთ = 1440 წთ = 86400 წმ. მზის დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტებს შორის დ.-ღ-ის ნაწილს დღისხანგრძლივობა (დხ) ეწოდება. იგი დამოკიდებულია ადგილის გეოგრ. განედსა და მზის დახრილობაზე. თბილისის განედისათვის ($\varphi=41^{\circ}42'$) ცხრილში მოცემულია დხ დამოკიდებულება წელიწადის დროზე (ანუ მზის დახრილობაზე) ყოველი თვის 1, 11, 21 რიცხვებისთვის. ცხრილის სიზუსტე საქართვე. მთელი ტერიტორიისათვის შეადგენს 2–3 წთ და ვარგისია უახლოესი 50 წლის განმავლობაში. დედამიწის ჩრდ. ნახევარსფეროში დხ 12 სთ-ზე მეტია მაშინ, როდესაც მზის დახრილობა დადებითია (21 მარტიდან 23 სექტ-მდე), ხოლო 12 სთ-ზე ნაკლებია, როცა მზის დახრილობა უარყოფითია (23 სექტ-იდან 21 მარტამდე). ჩრდ. ნახევარსფეროში დხ მაქსიმალურია გაზაფხულის მზებუდობის დღეს (22 ივნ.) და მინიმალურია ზამთრის მზებუდობის დღეს (22 დეკ.). სამხრ. ნახევარსფეროში ეს მოვლენები დიამეტრულად შებრუნებულია. საკუთრივ ეკვატორზე დხ უცვლელია და უდრის 12 სთ; 21 მარტსა და 23 სექტ. (ბუნიობისას) დხ დედამიწაზე ყველგან (პოლუსების გარდა) ერთნაირია და დაახლ. 12 სთ ტოლია; პოლარულ წრეებზე უფრო მაღალ განედებზე გაზაფხულობით დხ 24 სთ აჭარბებს, პოლუსებზე კი ნახევარ წელიწადს აღწევს.

თვე	ჩრდეთი					თვე	ჩრდეთი					
	1		11		21		1		11		21	
	სი	წი	სი	წი	წი	სი	წი	სი	წი	სი	წი	
იანვარი	9	12	9	22	9	39	15	12	15	01	14	45
ფებრუარი	10	02	10	26	10	51	14	23	14	00	13	26
მარტი	11	15	11	42	12	11	06	12	41	12	14	14
აპრილი	12	42	13	10	13	38	11	46	11	17	10	51
მაისი	14	01	14	25	14	47	10	21	9	29	9	27
ივნისი	15	00	15	11	15	13	9	22	9	11	9	00

დღის ხანგრძლივობა
თბილისში .